საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია

იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია

იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია, რუსული მართლმადიდებლური ეკლესია. დგას ვერის პარკში, ლურჯი მონასტრის გვერდით, სამხრ. მხარეს (ნ. ნიკოლაძის ქუჩის დასაწყისი). ეკლესია აიგო მრევლის მიერ შემოწირული და შეგროვებული თანხით. აშენებდნენ სამოქალაქო პირები: ინჟ. კ. ანტონოვი და მოიჯარე ლ. ბაკისოვი. ეკლესია აკურთხეს 1901 წ. 13 მაისს (ძვ. სტილით).

ეკლესია წარმოადგენს ძვ. რუს. არქიტ. ფორმებისა და ელე-მენტების სტილიზაციას, რ-იც მაშინდელ რუსეთში შემუშავდა. ი. ღ. ე-ში XX ს. 90-იანი წლებიდან მღვდელთმსახურება ქართ. ენაზეც მიმდინარეობს.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801–1917 წწ., ტ. 2, თბ., 1963.